საპროექტო ობიექტი, თავისი ფუნქციური დანიშნულებით სრულიად პასუხობს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების სტადიაზე მოთხოვნილ და დადგენილ ფუნქციას. საპროექტო შენობის ძირითად სივრცეებში გადანაწილებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფერმები და მათი წყობეები. რაც შეეხება საოფისე ფართებს, აღნიშნული ფართები წარმოადგენს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ სივრცეებს, რაც სრულად შეთავსებულია საპროექტო შენობის ძირითადი ფუნქციასთან და წარმოადგენს მის დამხმარე სივრცეებს, კერძოდ: ადმინისტრაციულ ნაწილში გათვალისწინებულია ის ფუნქციური ოთახები, რაც საჭიროა ფერმისა და მისი სასაწყობე ფართების გამართულად ფუნქციონირებისა და მენეჯმენტისთვის.

აღნიშნული ფართები გადანაწილებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული მოთხოვნებით მისი საქმიანობის და შენობის ფუნქციონირების შესაბამისად, კერძოდ:

1. დირექტორის ოთახი;

2. ბუღალტერია;

3. საქონლის მიღება-გაცემის პუნქტი;

4. საწყობის გამგის ოთახი

5. გაყიდვების მენეჯერების ოთახი;

6. შესყიდვების მენეჯერების ოთახი;

7. შეხვედრების ოთახი;

8. მოსასვენებელი ოთახი პერსონალისთვის

საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულებას წარმოადგენდა გარკვეულ დროის მონაკვეთში მიწის საფასურის სრულად გადახდა, რაც გამოსწორებულია. იხილეთ ხელშეკრულება და გადახდის ქვითრები.